ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1120004

ნომერი: AR1191639

თარიღი : 21.01.2014

გაცემის თარიღი : 13.02.2014

გაცნობის თარიღი : 13.02.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ყაზბეგი , N 32-34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მჭედლიშვილი პ/ნ 01007001686
- წერეთლის გამზირი 71, ბ.24

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 09 ნოემბრის #ნ/3589 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 21 იანვარს #AR1191639 განცხადებით მომართა გიორგი მჭედლიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2011 წლის 09 ნოემბრის #ნ/3589

ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 მარტის #01/541 ბრძანებით ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – მთაწმინდა), ყაზბეგის ქ. #32–34–ში მდებარე მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2011 წლის 09 ნოემბრის #ნ/3589 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა #ნ/3589–1), რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2011 წლის 10 ნოემბრიდან 2015 წლის 10 იანვრის ჩათვლით.

განმცახდებლის მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის თანახმად, 2011 წლის 09 ნოემბრის #ნ/3589 ბრძანებაში არასწორად იქნა მითითებული ცალკეული ფართების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ: ბინების საერთო ფართი 3992.00 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 3981.59 კვ.მ.–ს, საცხოვრებელი ფართი 3248.76 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 3245.76 კვ.მ.–ს, საზაფხულო ფართი 743.24 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 735.83 კვ.მ.-ს, ხოლო კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართი 424.75 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 501.39 კვ.მ.–ს.

სამსახურმა შეადარა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 09 ნოემბრის #ნ/3589 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითოს 3981.59 კვ.მ, საცხოვრებელ ფართად დაფიქსირდეს 3245.76 კვ.მ, საზაფხულო ფართად მიეთითოს 735.83 კვ.მ., ხოლო კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართად დაფიქსირდეს – 501.39 კვ.მ.
2. დანარჩენ ნაწილში ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 09 ნოემბრის #ნ/3589 ბრძანება დარჩეს უცვლელი;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 მარტის #01/541 და 2011 წლის 09 ნოემბრის #ნ/3589 ბრძანებებთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.